

აკაკი ვასაძე

დაიბადა ქუთაისში 1899 წლის 6 აგვისტოს. სიყმაწვილეში გატაცებული იყო ხატვით და სწორედ ხატვის ნიჭის მეშვეობით შეეცადა ქუთაისის თეატრში მოხვედრას. 1917 წელს ქუთაისის გიმნაზიის დამამთავრებელი კლასის მოსწავლე მიიღეს თეატრში, მხატვარ-დეკორატორის თანაშემწედ.

1918 წელს აკაკი ვასაძემ დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია და შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. სწორედ იმ ხანებში, თბილისში გიორგი ჯაბადარის ხელმძღვანელობით დაარსდა ქართული დრამატული სტუდია. აკაკი ვასაძემ უნივერსიტეტი დატოვა და სტუდიაში დაიწყო სწავლა. 1920 წელს გიორგი ჯაბადარის სტუდიის მსმენელთა თითქმის მთელი შემადგენლობა, მათ შორის აკაკი ვასაძეც, ქართული დრამატული თეატრის დასში ჩაირიცხა. შუა სეზონში ჯარში გაიწვიეს. 1921 წლის იანვარ-აპრილში გამოუკიდებელი საქართველოს ასპინძის ბატალიონის ჯარისკაცია, რომელიც ბათუმში იდგა და მონაწილეობა მიიღო თურქეთის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლებში. ამავე წლის მაისიდან რუსთაველის სახელობის თეატრში ბრუნდება. ამ პერიოდში მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია აბესალო სალამაძე (დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“).

ახალგაზრდა მსახიობები, მათ შორის აკაკი ვასაძეც, განიცდიდნენ ქართული თეატრის უმწეო მდგომარეობას. ამიტომაც იყო, რომ აღრფთოვანებით შეხვდნენ კოტე მარჯანიშვილს. მსახიობი აკაკი ვასაძე ახალი თეატრისთვის ბრძოლის აქტიური მონაწილე გახდა. ის იყო ერთ-ერთი ინიციატორი კორპორაცია „დურუჯის“ დაარსებისა, რომელმაც განსაზღვრულ პერიოდში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული თეატრის განახლების საქმეში. აკაკი ვასაძე იყო აგრეთვე კორპორაციის ცნობილი მანიფესტის შემდგენელიც.

კოტე მარჯანიშვილის მიერ ქართულ სცენაზე დადგმულ პირველ სპექტაკლში „ცხვრის წყარო“, აკაკი ვასაძემ შეასრულა მენგოს როლი და ყურადღება მიიქცია ცოცხალი, ნათელი, მართალი სცენური სახის შექმნით. ამ როლიდან დაიწყო აკაკი ვასაძის ნამდვილი შემოქმედებითი წინსვლა. აქტიურულ ნიჭთან ერთად აკაკი ვასაძეს ახასიათებდა პლასტიკურობა, მუსიკალობა, დახვეწილი დიქცია, მხატვრული გემოვნება, ყოველივე ის, რაც საჭიროა სცენური სახის სრულყოფისთვის. მსახიობი არ იყო შეზღუდული ამპლუით. იგი თანაბარი ოსტატობით ასახიერებდა ყველა ხასიათის როლს. მეტიც, არასდროს სჯერდებოდა როლის პირველ მონახაზს და მუდამ ცდილობდა სცენური სახის გაუმჯობესებას ახალი ნიუანსებით. სცენური ოსტატობის ეს შესანიშნავი თვისებები ახასიათებდა აკაკი ვასაძეს სიცოცხლის ბოლო დღეებამდე, ამიტომაც იყო, რომ ხანში შესული ოსტატი შეუდარებლად ასრულებდა ურთულეს როლებს. აკაკი ვასაძის სამსახიობო ოსტატობის ზრდა არ შეჩერებულა რუსთაველის სახელობის თეატრიდან კოტე მარჯანიშვილის წასვლის შემდეგაც, როცა ამ თეატრს სათავეში ჩაუდგა ნიჭიერი რეჟისორი სანდრო ახმეტელი. ამ დროიდან თეატრში უპირატესობა მიენიჭა თანამედროვე შინაარსის დრამატულ ნაწარმოებებს.

1926 წელს აკაკი ვასაძემ რეჟისორობასაც მოჰკიდა ხელი. მან სანდრო ახმეტელთან ერთად დადგა ვლადიმერ ბელ-ბელოცერკოვსკის „საჭე მარცხნივ“, ჯონ რიდის „ათი დღე“, სანდრო შანშიაშვილის „ანზორ“, „სამნი“, გრიგოლ რობაქიძის „ლამარა“, შალვა დადიანის „თეთნულდი“. შემდგომ უკვე დამოუკიდებლად დგამდა სპექტაკლებს. 1935-1948 წლებში რუსთაველის სახელობის თეატრის სამხატვრო ნაწილის გამგე და სარეჟისორო კოლეგიის თავმჯდომარეა, 1938-1942 წლებში თეატრის დირექტორიცაა, 1948-1955 წლებში მთავარი რეჟისორი, ხოლო 1958-1968 წლებში ქუთაისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორია. 1969 წელს მიიწვიეს რუსთაველის თეატრში. 1975 წლიდან სიცოცხლის ბოლო წლებამდე შემოქმედებით მუშაობას განაგრძობდა მარჯანიშვილის თეატრში.

აკაკი ვასაძეს მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის ქართული კინოხელოვნების განვითარებაშიც: მან არაერთი მნიშვნელოვანი სახე შექმნა ქართულ კინოში. მათ შორის აღსანიშნავია: გრიგოლა იასაული (რეჟისორ ამო ბეკ-ნაზაროვის „მამის მკვლელები“, 1923), პლატონი (1926 წელს გადაღებული რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, 1926), გარდუფხანი („ძინა ძაძუ“, 1926), ედვინი (რეჟისორ გიორგი მაკაროვის „ქალი ბაზრობიდან“, 1928), შაჰ-აბასი (რეჟისორ მიხეილ ჭიაურელის „გიორგი სააკაძე“, 1943), მამასახლისი (რეჟისორების თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის „მაგდანას ლურჯა“, 1955), მელიტონი (რეჟისორ ლევან ხოტივარის „მე ვიტყვი სიმართლეს“, 1957), ზაურბეკი

(რეჟისორ სიკო დოლიძის „ფატიმა“, 1958), ალიხანოვ-ავარსკი (რეჟისორ კონსტანტინე პიპინაშვილის „მაიაკოვსკი ინყებოდა ასე“, 1959), პროფესორი (რეჟისორ სიკო დოლიძის „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“, 1959), მიხა (რეჟისორ მიხეილ ჭიაურელის „ამბავი ერთი ქალიშვილისა“, 1960), პარმენი (რეჟისორ ლევან ხოტივარის „უდიპლომო სასიძო“, 1961), დავითი (რეჟისორ ლევან ხოტივარის „ტარიელ გოლუა“, 1968), ფარსმან სპარსი (რეჟისორების ვახტანგ ტაბლიაშვილისა და დევი აბაშიძის „დიდოსტატის მარჯვენა“, 1970), ტარიელ შერვაშიძე (რეჟისორ თამაზ მელიაშვილს „მთვარის მოტაცება“, 1973), გორდუზიანი (რეჟისორ ვალერიან კვაჭაძის „საქმე გადაეცემა სასამართლოს“, 1975), მორდუხაი (რეჟისორების გიგა ლორთქიფანიძისა და გიზო გაბესკირიას „დათა თუთაშხია“, 1978).

აკაკი ვასაძე იყო აგრეთვე ქართული თეატრის თეორეტიკოსიც. 1924 წლიდან პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა რუსთაველის სახელობის თეატრთან არსებულ სტუდიაში. 1926 წლიდან რეჟისორის პროფესიასაც ითავსებს. ხოლო 1939 წელს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში ასწავლის. 1948 წლიდან მინიჭებული ჰქონდა პროფესორის წოდება.

აკაკი ვასაძის მიერ შეასრულებული როლებიდან აღსანიშნავია – რუსთაველის სახელობის თეატრში: პოეტი, მურთაზი (გრიგოლ რობაქიძის „ლონდა“, „ლამარა“), კრისპინი (ხასინტო ბენავენტეს „ინტერესთა თამაში“), კრისტი მეგონი (ჯონ სინგის „გმირი“), კლავდიუსი, იაგო (უილიამ შექსპირის „ჰამლეტი“, „ოტელო“), კომბალა (ნიკო შიუკაშვილის „ამერიკელი ძია“), შვაჩი (ბორის ლავრენიოვის „რღვევა“), ახმა (სანდრო შანშიაშვილის „ანზორ“), ფრანც მოორი (ფრიდრიხ შილერის „ყაჩაღები“), ბერესტი (ალექსანდრ კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი“), ანანია (ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატი“), სვიმონ ლიონიძე (დავით ერისთავის „სამშობლო“), პეპია (ილია ჭავჭავაძის „გლახის ნამბობი“) და სხვა; ქუთაისის თეატრში: ყვარყვარე (პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“), რიჩარდ III (უილიამ შექსპირის „რიჩარდ III“), ნერონი (ლევან სანიკიძის „ნერონი“) და სხვა; რუსთაველის თეატრში: მაესტრო (ს. კვარონსკის „მაესტრო“), ისიდორე (ნოდარ დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“), მეფე ლირი (უილიამ შექსპირის „მეფე ლირი“), გიორგი სიხარულიძე (თამაზ ჭილაძის „სურათები საოჯახო ალბომიდან“) და სხვა; მარჯანიშვილის თეატრში: პასტორი მანდერსი (ჰენრიკ იბსენის „მოჩვენებანი“).

აკაკი ვასაძის დადგმებიდან აღსანიშნავია: სანდრო შანშიაშვილის „არსენა“, შალვა დადიანის „ნაპერწკლიდან“, ალექსანდრ კორნეიჩუკის „ბოგდან ხმელნიცკი“, ალექსანდრ ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“, ვანიონ დარასელის „კიკვიძე“, დავით ერისთავის „სამშობლო“, ვლადიმირ სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფე“, ილო მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“, ჟან-პოლ სარტრის „ედმონდ კონი“, ილია ჭავჭავაძის „გლახის ნამბობი“, დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“.

აკაკი ვასაძეს კიკვიძის (ვანიონ დარასელის „კიკვიძე“, 1942), შუისკის (ვლადიმირ სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფე“, 1946), აბდულ სადექის (ილო მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“, 1951) სახეთა შექმნისთვის მიენიჭა სტალინის სახელობის სახელმწიფო პრემია, ხოლო 1974 წელს მეფე ლირის (უილიამ შექსპირის „მეფე ლირი“) განსახიერებისთვის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია. აკაკი ვასაძე დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის (1936 და 1958) და ლენინის (1946 და 1950) ორდენებით.

ავტორია წიგნების: „მოგონებები, ფიქრები“, ტ. I (1977), ტ. II (1983); „ჩემი სამსახიობო გზა“ (1988).

1934 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის, ხოლო 1936 წელს სსრკ-ის სახალხო არტისტის წოდება.

აკაკი ვასაძე გარდაიცვალა 1978 წლის 23 მარტს. დაკრძალულია თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

აკაკი ვასაძის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

ავტობიოგრაფიები

1. აკაკი ვასაძის ავტობიოგრაფია.
1944 წ. იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
2. აკაკი ვასაძის ავტობიოგრაფია „ჩემი შემოქმედებითი გზა“.
1946 წ. დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. არასრული. 19 გვ.
3. აკაკი ვასაძის ავტობიოგრაფია.
1947 წ. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 4 გვ. 4 ეგზ.
4. აკაკი ვასაძის ავტობიოგრაფია.
1950 წ. 13 ნოემბერი. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
5. აკაკი ვასაძის ავტობიოგრაფია.
1966 წ. 14 სექტემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ. 3 ეგზ.
6. აკაკი ვასაძის ავტობიოგრაფია.
უთარილო. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 10 გვ.
7. აკაკი ვასაძის ავტობიოგრაფია.
უთარილო. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 8 გვ.
8. აკაკი ვასაძის ავტობიოგრაფია.
უთარილო. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
9. აკაკი ვასაძის ავტობიოგრაფია.
უთარილო. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
10. აკაკი ვასაძის ავტობიოგრაფია.
უთარილო. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
11. აკაკი ვასაძის ავტობიოგრაფია.
უთარილო. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
12. აკაკი ვასაძის ავტობიოგრაფია.
უთარილო. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
13. აკაკი ვასაძის ავტობიოგრაფია.
უთარილო. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 2 გვ.
14. აკაკი ვასაძის ავტობიოგრაფია.
უთარილო. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 3 გვ.

**აკაკი ვასაძის კადრების აღრიცხვის ფურცელები,
შემოქმედებითი ხასიათის ცნობები და ცნობარები,
საზღვარგარეთ გასამგზავრებელი დოკუმენტები**

15. აკაკი ვასაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1939 წ. 9 თებერვალი. თბილისი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.
16. აკაკი ვასაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1950 წ. 13 ნოემბერი. თბილისი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
17. აკაკი ვასაძის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი ცნობა.
1955 წ. 19 აპრილი. თბილისი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
18. აკაკი ვასაძის საზღვარგარეთ გასამგზავრებელი საქმე. თან ერთვის დახასიათება, ბიოგრაფია, როლებისა და დადგმების სია.
1974 წ. 3 ივლისი. თბილისი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 12 გვ.
19. აკაკი ვასაძის მიერ შევსებული საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმის ცნობარი. თან ერთვის როლებისა და დადგმების სია.
1977 წ. 9 მარტი. თბილისი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. 8 გვ.
20. აკაკი ვასაძის მიერ შევსებული საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმის ცნობარი.
უთარილო. თბილისი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. 4 გვ.
21. აკაკი ვასაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
უთარილო. თბილისი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 4 გვ.
22. აკაკი ვასაძის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი ცნობა.
უთარილო. თბილისი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

დახასიათებები

23. აკაკი ვასაძის დახასიათება.
1939 წ. 25 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული.
ხელს აწერს: რუსთაველის სახელობის თეატრის პარტორგანიზაციის მდივანი – ტ. გრიგორიანი.
რუსულ ენაზე. 1 გვ.
24. აკაკი ვასაძის დახასიათება.
1939 წ. 26 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ამონებებს: საქმეთა მმართველი – ე. შანშიაშვილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
25. აკაკი ვასაძის საქმიანი დახასიათება.
1940 წ. აპრილი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი.
ხელს აწერს: ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი – ბ. გოგუა. რუსულ ენაზე. 1 გვ.
26. აკაკი ვასაძის დახასიათება.
1943 წ. 19 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი.
ხელს აწერს: ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი – ბ. გოგუა. რუსულ ენაზე. 1 გვ.
27. აკაკი ვასაძის დახასიათება.
1949 წ. 17 თებერვალი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს: ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე – პ. კანდელაკი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

28. აკაკი ვასაძის დახასიათება.
1949 წ. 18 თებერვალი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს: პარტკომი – გ. სალარაძე. რუსულ ენაზე. 1 გვ.
29. აკაკი ვასაძის საქმიანი დახასიათება.
უთარილო. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი – ბ. გოგუა. რუსულ ენაზე. 1 გვ.
30. აკაკი ვასაძის საქმიანი დახასიათება.
უთარილო. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი – ბ. გოგუა. რუსულ ენაზე. 1 გვ.

ბრძანებები

31. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის ბ. გოგუას ბრძანება, ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობის დამტკიცებასთან დაკავშირებით.
1938 წ. 17 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
32. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის ბ. გოგუას ბრძანება, აკ. ვასაძის რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორად დანიშვნასთან დაკავშირებით.
1938 წ. 28 მაისი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
33. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის ბ. გოგუას ბრძანება, აკ. ვასაძის რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორის თანამდებობის შესრულებისთვის ხელფასის დანიშვნასთან დაკავშირებით.
1938 წ. 7 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.
34. ამონაწერი უმაღლესი სკოლის საკავშირო კომიტეტის ბრძანებიდან, აკ. ვასაძის თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ოსტატობის კათედრის გამგედ დანიშვნასთან დაკავშირებით.
1939 წ. 8 იანვარი. თბილისი. ბლანკი. სტამბური. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
35. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის ბ. გოგუას ბრძანება, აკ. ვასაძის მიმართ ადრინდელი ბრძანების გაუქმებასთან დაკავშირებით.
1939 წ. 7 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ. 2 ეგზ.
36. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის ბ. გოგუას ბრძანება, აკ. ვასაძის რუსთაველის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისა და მსახიობის მოვალეობისთვის ხელფასის დანიშვნასთან დაკავშირებით.
1940 წ. 10 თებერვალი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ. 2 ეგზ.
37. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის ბ. გოგუას ბრძანება, აკ. ვასაძის რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორობიდან განთავისუფლებასთან დაკავშირებით.
1942 წ. 24 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.
38. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის ბ. გოგუას ბრძანება, რუსთაველის სახელობის თეატრის სარეჟისორო კოლეგიის დამტკიცებასთან დაკავშირებით.
პირი: აკ. ვასაძე, აკ. ხორავა, პ. მურღულია, შ. აღსაბაძე, გ. დავითაშვილი, ირ. გამრეკელი, ი. ტუსკია, ასათიანი, დ. ალექსიძე.
1942 წ. 21 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.
39. უმაღლესი სკოლის საკავშირო კომიტეტის ბრძანება, აკ. ვასაძის საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ოსტატობის კათედრის გამგის თანამდებობიდან განთავისუფლებასთან დაკავშირებით.
1942 წ. 31 მაისი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

40. **ამონაწერი სსრკ-ის ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ბრძანებიდან, აკ. ვასაძისთვის** პერსონალური ხელფასის დანიშვნასთან დაკავშირებით.
1944 წ. 26 ივნისი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
41. ამონაწერი შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის დირექტორის ი. თავაძის ბრძანებიდან, მიმღები საგამოცდო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით (წევრად მოხსენიებულია აკ. ვასაძე).
1957 წ. 2 ივლისი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.
42. საქართველოს კულტურის მინისტრის დ. ჩხიკვიშვილის ბრძანება, აკ. ვასაძის დაბადების 60 წლის იუბილეს ჩატარებასთან დაკავშირებით.
1959 წ. 19 ნოემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

დადგენილება

43. საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილება აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო დღესასწაულში ბაქოში საქართველოს დელეგაციის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1945 წ. 3 მაისი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

ხელშეკრულებები

44. ხელშეკრულება დადებული გამომცემლობა „ისკუსტვოს“ დირექტორ ნ. კუხარკოვასა და აკ. ვასაძეს შორის, კრებულისთვის „საბჭოთა რეჟისურის პრობლემები“ სტატიის დაწერასთან დაკავშირებით.
1951 წ. 1 დეკემბერი. თბილისი. სტამბური. რუსულ ენაზე. 2 გვ.
45. შრომითი ხელშეკრულება დადებული რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორ პ. კანდელაკსა და აკ. ვასაძეს შორის, სპექტაკლების „კიკვიძისა“ და „დიადი მომავლისათვის“ კაპიტალურად აღდგენასთან დაკავშირებით.
1955 წ. 17 სექტემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.
46. შრომითი ხელშეკრულება დადებული ჩრდილოეთ ოსეთის მუსკომედიის თეატრის ადმინისტრატორ ე. ვინოკუროვსა და აკ. ვასაძეს შორის, სპექტაკლში „ოტელო“ იაგოს როლის შესრულებასთან დაკავშირებით.
1950 წ. 12 ივლისი. ორჯონიკიძე. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

მოხსენებითი ბარათი

47. აკაკი ვასაძის მოხსენებითი ბარათი საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის მდივან კანდიდ ჩარკვიანისადმი, შ. რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში მუშაობასთან დაკავშირებით.
1950 წ. თბილისი. ნაბეჭდი. 10 გვ.

მანდატები, საშვები, მოწმობები

48. აკაკი ვასაძის მანდატი გურჯაანის რაიონში საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად ბრიგადის ხელმძღვანელად დანიშვნასთან დაკავშირებით.
1925 წ. 17 იანვარი. თბილისი. შტამპიანი ფურცელი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

49. **თბილისის კიროვის რაიონის №35 საარჩევნო ოლქში აკ. ვასაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევის მონაწილეობა.**
1951 წ. 18 თებერვალი. თბილისი. ბლანკი. სტამბური. ბეჭედდასმული. ფოტოსურათით. 1 გვ.
50. საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმის საშვი.
1953 წ. 17-18 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

სხდომის ოქმები

51. რუსთაველის სახელობის თეატრის კომისიის სხდომის ოქმი ფრიდრიხ შილერის პიესა „ყაჩაღების“ („ინ ტირანოს“) მთარგმნელის დადგენასთან დაკავშირებით.
პირი: პ. სამსონაძე, ტ. ტაბიძე, ალ. ბოკერია, ს. ახმეტელი, ს. შანშიაშვილი, აკ. ვასაძე, ავალიშვილი.
1933 წ. 15 ნოემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. 2 გვ.
52. თბილისის ბერიას სახელობის რაიკომის მიერ შექმნილი კომისიის სხდომის ოქმი, საქართველოს გასაბჭოების 20 წლისთავთან დაკავშირებით რაიონის მხატვრულად გაფორმების შესახებ.
პირი: აკ. ვასაძე, ირ. გამრეკელი, ს. ერისთავი, ნ. მაისურაძე, გ. ლუარსაბოვი, ირ. კანდელაკი, ლუდვიგოვი, დ. თავაძე.
1940 წ. 7 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. 3 გვ.

მიმართვები

53. საქართველოს მწერალთა ფედერაციის სამდივნოს მიმართვა აკ. ვასაძისადმი, დავით კლდიაშვილის ხსოვნის საღამოზე მონაწილეობასთან დაკავშირებით.
1932 წ. 20 აპრილი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. დაზიანებული. 1 გვ.
54. სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის ა. იაბლოჩკინასა და თავმჯდომარის მოადგილის გ. ცვილინგის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივთან შეხვედრასთან დაკავშირებით.
1936 წ. 25 აგვისტო. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
55. ჟურნალ „სოვეტსკი ტეატრის“ რედაქტორის მოადგილის ვ. ზალესკისა და განყოფილების გამგის ლ. შატუნოვსკაიას მიმართვა აკ. ვასაძისადმი, ალექსანდრ პუშკინის იუბილესთან დაკავშირებით რუსთაველის სახელობის თეატრის მომზადების შესახებ.
1936 წ. 14 ნოემბერი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ. 1 კ.
56. საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სწავლული მდივნის ბეჟაიას მიმართვა აკ. ვასაძისადმი, სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1936 წ. 27 ნოემბერი. თბილისი. შტამპიანი ფურცელი. ნაბეჭდი. 1 გვ.
57. საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სწავლული მდივნის ბეჟაიას მიმართვა აკ. ვასაძისადმი, ქუთაისის თეატრის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის დასკვნის დაწერასთან დაკავშირებით.
1936 წ. 27 ნოემბერი. თბილისი. შტამპიანი ფურცელი. ნაბეჭდი. 1 გვ.
58. ალ. პუშკინის საიუბილეო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივნის ტ. ტაბიძის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, საიუბილეო კომიტეტის სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1937 წ. 9 აპრილი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
59. საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სწავლული მდივნის ბეჟაიას მიმართვა აკ. ვასაძისადმი, სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1937 წ. 17 მაისი. თბილისი. შტამპიანი ფურცელი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

60. „საქფილგეთის“ საქმეთა მმართველის პ. ჩიჩოვეის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, ქართული ესტრადის ირგვლივ გამართულ თათბირზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1937 წ. 20 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.
61. პავლე პატარაიას მიმართვა აკ. ვასაძისადმი, ქართულ საესტრადო სტუდიაში გამოცდებზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1937 წ. 23 დეკემბერი. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.
62. გამომცემლობა „ისკუსტვოს“ სამდივნოს გამგის ს. ბოროდინას მიმართვა აკ. ვასაძისადმი, წიგნის „სსრკ-ის სახალხო არტისტები“ გაგზავნასთან დაკავშირებით.
1938 წ. 3 იანვარი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
63. სტალინის სახელობის კომკავშირის რაიკომის მდივნის შ. ნონიკაშვილის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, ახალგაზრდობის აქტივის საღამოზე მონაწილეობასთან დაკავშირებით.
1938 წ. 27 მარტი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
64. სსრკ-ის ხელოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს სასწავლო დაწესებულებათა კომიტეტის უფროსის შაპოვალოვის მიმართვა უმაღლესი სკოლის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის კაფტანოვისადმი, საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის მსახიობის ოსტატობის კათედრის გამგედ აკ. ვასაძის, ხოლო მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგედ ი. გაბუნიას დასამტკიცებლად წარდგენასთან დაკავშირებით.
1939 წ. 2 ნოემბერი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
65. თბილისის რკინიგზის №2 საშუალო სკოლის ადმინისტრაციის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, საქართველოს გასაბჭოების აღსანიშნავად მოსწავლეებთან შესახვედრად.
1940 წ. 23 თებერვალი. თბილისი. შტამპიანი ფურცელი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.
66. საბავშვო მხატვრული ფილმების სტუდიის დირექტორის ფროლოვის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, კინოფილმ „იაკობ სვერდლოვი“ სტალინის როლის შესასრულებლად ი. კობალაძის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1940 წ. 8 აპრილი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
67. საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის თ. ფოცხიშვილის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, ამიერკავკასიის რესპუბლიკების არქიტექტორთა კონფერენციაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.
1940 წ. 22 ოქტომბერი. თბილისი. შტამპიანი ფურცელი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
68. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილის მაღლობლიშვილის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, მოზარდ მაყურებელთა თეატრების საკავშირო დათვალიერებაზე წარდგენილი სპექტაკლების განხილვაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1945 წ. 21 მაისი. თბილისი. შტამპიანი ფურცელი. ნაბეჭდი. 1 გვ.
69. საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილის შესტოვის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, სამხედრო-საშეფო მუშაობისთვის საპატიო სიგელის გადაცემასთან დაკავშირებით.
1945 წ. 15 ივნისი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
70. საქართველოს მწერალთა კავშირის საიათნოვას საიუბილეო კომისიის თავმჯდომარის ი. გრიშაშვილის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, იუბილეზე მონაწილეობასთან დაკავშირებით.
1945 წ. 22 სექტემბერი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
71. საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის შ. დადიანის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, პრეზიდენტის სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1948 წ. 8 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.
72. საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის შ. დადიანის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, ლექციის „შექსპირის ტრაგედიის „მეფე ლირის“ სარეჟისორო ექსპლიკაცია“ წაკითხვასთან დაკავშირებით.
1948 წ. 8 აპრილი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.

73. **ალექსანდრე ყაზბეგის საიუბილეო კომიტეტის მდივნის ალექსანდრე გომიაშვილის მიმართვა** აკაკი ვასაძისადმი, ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის თემატური გეგმის შესახებ შენიშვნების წარდგენასთან დაკავშირებით.
1948 წ. ივნისი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. თან ერთვის თემატური გეგმა. 12 გვ.
74. გაზეთ „სოვეტსკოე ისკუსტვოს“ პასუხისმგებელი რედაქტორის ს. სუტოცკის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, მოსკოვის მცირე თეატრის 125 წლისთავზე სტატიის დაწერასთან დაკავშირებით.
1949 წ. 6 ოქტომბერი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
75. მოსკოვის ცენტრალური საბავშვო თეატრის დირექტორის კ. შახ-აზიზოვის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, მსახიობ ს. ვოლხოვსკაიას შემოქმედებით საღამოზე მონაწილეობასთან დაკავშირებით.
1949 წ. 28 ნოემბერი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
76. ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან არსებული თბილისის თეატრების საატესტაციო კომისიის უფროსის მოადგილის პ. კანდელაკის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, კომისიის წევრად არჩევასთან დაკავშირებით.
1950 წ. 25 მარტი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
77. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილის პ. კანდელაკის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, ცენტრალურ საატესტაციო კომისიაში მუშაობასთან დაკავშირებით.
1950 წ. 8 აპრილი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
78. საქართველოს თეატრალური საზოგადოების პასუხისმგებელი მდივნის ს. მთვარაძის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, საზოგადოების ყრილობაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1950 წ. 24 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.
79. უცხოეთთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის ვ. გოგუაძის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, ფოტოალბომ „საბჭოთა საქართველოს“ სცენარის განხილვაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.
1951 წ. 21 მარტი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. თან ერთვის ფოტოალბომის პროექტი. 12 გვ.
80. სტალინური პრემიის კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწის ი. ნეჟნის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, დოკუმენტაციის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1951 წ. 3 აპრილი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
81. დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მუსიკის, თეატრისა და კინოს რედაქციის გამგის ბ. შტეინპრესის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, მასზე სტატიის დაწერასთან დაკავშირებით.
1951 წ. 4 მაისი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
82. დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის დირექტორის ა. რევინის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, თეატრისა და კინოს მასალების შესახებ მოსაზრების გამოთქმასთან დაკავშირებით.
1951 წ. 7 მაისი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
83. სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების გამომცემლობის მთ. რედაქტორის ი. კალაშნიკოვის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, კ. სტანისლავსკისადმი მიძღვნილი კრებულისთვის სტატიის დაწერასთან დაკავშირებით.
1951 წ. 31 აგვისტო. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
84. გამომცემლობა „ისკუსტვოს“ თეატრისა და დრამატურგიის განყოფილების გამგის ო. როსიხინას მიმართვა აკ. ვასაძისადმი, კრებულ „საბჭოთა რეჟისურის პრობლემებისთვის“ სტატიის დაწერასა და ხელშეკრულების გაგზავნასთან დაკავშირებით.
1951 წ. 20 სექტემბერი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
85. კრებულის „საბჭოთა რეჟისურის პრობლემები“ შემდგენლის ვ. ვლასოვის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, სტატიის დაწერაზე ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით.
1951 წ. 30 ოქტომბერი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ. 1 კ.

86. **სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების გამომცემლობის მთავარი რედაქტორის ი. კალაშნიკოვის და ლ. ბერნშტეინის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, კრებულში „სსრკ-ის სახალხო არტისტები“ მისი ბიოგრაფიის დაბეჭდვასთან დაკავშირებით.**
1951 წ. 12 დეკემბერი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
87. საქართველოს თეატრალური საზოგადოების პასუხისმგებელი მდივნის დ. ჩხეიძის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, პრეზიდიუმის სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1951 წ. 28 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.
88. საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის შ. დადიანისა და პასუხისმგებელი მდივნის ს. მთვარაძის მიმართვა ტერმინოლოგიის სარედაქციო კომისიის წევრ აკ. ვასაძისადმი, ასი ტერმინის სიის გამოცემასთან დაკავშირებით.
1951 წ. 31 დეკემბერი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. თან ერთვის ტერმინთა სია. ქართულ და რუსულ ენებზე. 5 გვ.
89. სსრკ-ის კულტურის სამინისტროს დრამატული თეატრების სამმართველოს უფროსი ინსპექტორის ვ. გალკინის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, კადრების პირადი აღრიცხვის ფურცლისა და ავტობიოგრაფიის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1952 წ. 10 მაისი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
90. თბილისის ბერიას სახელობის რაიკომის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, II პლენუმზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1952 წ. 21 მაისი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
91. შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის მიმღები კომისიის მდივნის ე. გელდიაშვილის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, საგამოცდო კომისიის წევრად დამტკიცებასთან დაკავშირებით.
1952 წ. 22 ივლისი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.
92. საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კომიტეტის თავმჯდომარის ვ. ხატიასვილის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების ხელმძღვანელთა მოსამზადებელ სასწავლებელში ლექციების ჩატარებასთან დაკავშირებით.
1952 წ. 5 სექტემბერი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
93. გამომცემლობა „ისკუსტვოს“ მთავარი რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელმა რუდზევესკის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, კრებულ „საბჭოთა რეჟისურის პრობლემებისთვის“ სტატიის საბოლოო ვარიანტის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1952 წ. 24 ოქტომბერი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
94. საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის შ. დადიანისა და პასუხისმგებელი მდივნის ს. მთვარაძის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, ა. ფევერალსკის წიგნის „რუსთაველის სახელობის თეატრი“ განხილვაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1953 წ. 24 იანვარი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
95. უცხოეთთან კულტურული ურთიერთობების საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის ვ. გოგუაძის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, აქტივის კრებაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1953 წ. 13 მარტი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
96. გამომცემლობა „ისკუსტვოს“ მთავარი რედაქტორის მოვალეობის შემსრულებლის რუდზევესკის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, კრებულ „საბჭოთა რეჟისურის პრობლემებისთვის“ სტატიის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1953 წ. 13 მარტი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
97. საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის შ. დადიანისა და პასუხისმგებელი მდივნის ე. დავითაიას მიმართვა აკ. ვასაძისადმი, პრეზიდიუმის სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1953 წ. 17 ივლისი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

98. **გამომცემლობა „ისკუსტვოს“ რედაქტორ ა. ამჩისლავსკის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, კრებულ „საბჭოთა რეჟისურის პრობლემებისთვის“ რედაქტირებულ სტატიაში შენიშვნების გაგზავნასთან დაკავშირებით.**
1953 წ. 4 სექტემბერი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
99. მ. თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის კომკავშირის მდივნის დარჩიასა და პროფკომიტეტის თავმჯდომარის ხანიაშვილის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, მასთან და ვ. ანჯაფარიძესთან მოსწავლეთა შეხვედრაზე თანხმობასთან დაკავშირებით.
1954 წ. 29 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.
100. საქართველოს თეატრალური საზოგადოების რეჟისორთა სექციის თავმჯდომარის ალ. თაყაიშვილის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, მიხეილ გიჟიმყრელის ლექციაზე „შემოქმედებითი ფანტაზია რეჟისორის მუშაობაში“ დასწრებასთან დაკავშირებით.
1954 წ. 19 ნოემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.
101. საქართველოს თეატრალური საზოგადოების პასუხისმგებელი მდივნის დ. ჩხეიძის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, ნაზიმ ჰიქმეთის პიესის „ლეგენდა სიყვარულზე“ განხილვაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1955 წ. 25 თებერვალი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
102. საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. ჩუბინიძის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, უმაღლესი საბჭოს პირველ სესიის მუშაობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.
1955 წ. 28 მარტი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
103. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკუროროს თანაშემწის ვ. ჟვანიას მიმართვა საქართველოს თეატრალური მუზეუმის დირექტორის გ. ბუხნიკაშვილისადმი, აკ. ვასაძის ავტობიოგრაფიისა და კადრების პირადი აღრიცხვის ფურცლის დაბრუნებასთან დაკავშირებით.
1953 წ. 17 ივლისი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.
104. საქართველოს თეატრალური საზოგადოების პასუხისმგებელი მდივნის დ. ჩხეიძის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, პრეზიდიუმის სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1955 წ. 6 სექტემბერი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
105. საქართველოს თეატრალური საზოგადოების პასუხისმგებელი მდივნის დ. ჩხეიძის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, პრეზიდიუმის სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1955 წ. 21 სექტემბერი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
106. კულტურის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარის მოსელიანის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, IV პლენუმზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1955 წ. 29 სექტემბერი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
107. რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორის პ. კანდელაკის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, თეატრის სამხატვრო საბჭოს სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1956 წ. 28 თებერვალი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.
108. საქართველოს თეატრალური საზოგადოების პასუხისმგებელი მდივნის დ. ჩხეიძის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, პრეზიდიუმის სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1957 წ. 18 იანვარი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
109. რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორის პ. კანდელაკის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, თეატრის სამხატვრო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1957 წ. 25 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.
110. თეატრალური ინსტიტუტის დირექტორის აკ. ხორავასა და თეატრის ისტორიის კათედრის გამგის აკ. ფალავას მიმართვა აკ. ვასაძისადმი, ვლ. ალექსი-მესხიშვილის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი საღამოს ჩატარებაში აქტიურ მონაწილეობასთან დაკავშირებით.
1957 წ. 8 მარტი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

111. საქართველოს თეატრალური საზოგადოების პასუხისმგებელი მდივნის დ. ჩხეიძის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, პრეზიდიუმის სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით. 1957 წ. 12 მარტი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
112. საქართველოს თეატრალური საზოგადოების პასუხისმგებელი მდივნის დ. ჩხეიძის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, პრეზიდიუმის სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით. 1957 წ. 20 მაისი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
113. საქართველოს თეატრალური საზოგადოების პასუხისმგებელი მდივნის დ. ჩხეიძის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, პრეზიდიუმის სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით. 1957 წ. 7 ივნისი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
114. რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორისა და სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარის პ. კანდელაკის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, თეატრის სამხატვრო საბჭოს სხდომაზე 1957-58 წწ. სეზონის რეპერტუარის განხილვასთან დაკავშირებით. 1957 წ. 20 აგვისტო. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.
115. დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქტორის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, მისი შემოქმედებითი მონაცემების გაგზავნასთან დაკავშირებით. 1957 წ. 13 დეკემბერი. მოსკოვი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. ნაბეჭდი. თან ერთვის კითხვარი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
116. საქართველოს თეატრალური საზოგადოების პასუხისმგებელი მდივნის დ. ჩხეიძის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, პრეზიდიუმის სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით. 1957 წ. 18 ოქტომბერი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
117. თბილისის ოფიცერთა სახლის უფროსის ხლებინის მიმართვა რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორის დ. ანთაძისადმი, კინოსტუდიის მუშაკებთან ოფიცრების შეხვედრაში აკ. ვასაძის მონაწილეობასთან დაკავშირებით. 1958 წ. 8 იანვარი. თბილისი. შტამპიანი ფურცელი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
118. საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. ჩუბინიძის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, IV მოწვევის უმაღლესი საბჭოს VI სესიაზე დასწრებასთან დაკავშირებით. 1958 წ. 15 ნოემბერი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
119. მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის აკ. ხორავასა და პასუხისმგებელი მდივნის ლ. სადრაძის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, კომიტეტის საიუბილეო პლენუმზე დასწრებასთან დაკავშირებით. 1959 წ. 4 მაისი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
120. საქართველოს კულტურის სამინისტროსთან არსებული სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარის გრ. ფოფხაძის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, საბჭოს სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით. 1960 წ. 15 იანვარი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. თან ახლავს საქართველოს თეატრების 1959-60 წწ. სეზონის სარეპერტუარო გეგმა. 21 გვ.
121. მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პასუხისმგებელი მდივნის ლ. სადრაძის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით. 1960 წ. 10 თებერვალი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
122. საარქივო სამმართველოს უფროსის შ. ცაგარეიშვილის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, მისი საარქივო მასალების გადაცემასთან დაკავშირებით. 1963 წ. 16 აპრილი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
123. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის ვ. კუპრავას მიმართვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისადმი, პოლონური დრამატურგიის ფესტივალზე აკ. ვასაძის გამგზავრებასთან დაკავშირებით. 1970 წ. 29 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

124. **სსრკ-ის კულტურის მინისტრის მოადგილის ვ. პოპოვის მიმართვა საქართველოს კულტურის მინისტრ ო. თაქთაქიშვილისადმი, პოლონური დრამატურგიის ფესტივალზე აკ. ვასაძის გამგზავრებასთან დაკავშირებით.**
1970 წ. 8 მაისი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
125. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის ვ. კუპრავას მიმართვა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ რ. ფრუიძისადმი, პოლონური დრამატურგიის ფესტივალზე აკ. ვასაძის გამგზავრებასთან დაკავშირებით.
126. საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის დ. ანთაძისა და მსახიობის სახლის დირექტორის ი. აბაკელიას მიმართვა აკ. ვასაძისადმი, მსახიობის სახლის გახსნის საღამოზე მონაწილეობასთან დაკავშირებით.
127. ერევნის ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორის რ. ზარიანის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, ი. ალიხანიანის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებულისთვის მოგონების დაწერასთან დაკავშირებით.
128. ჟურნალ „ტეატრის“ პასუხისმგებელი მდივნის ი. შუბის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, მის საიუბილეოდ ფოტოსურათის გაგზავნასთან დაკავშირებით.
129. სსრკ-ის დიდი თეატრის მუზეუმის გამგის ვ. ზარუბინის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, „საბჭოთა ენციკლოპედიისთვის“ ბიოგრაფიული მონაცემების გაგზავნასთან დაკავშირებით.
130. ჟურნალ „ტეატრის“ თანამშრომლის ო. დზიუბინსკაიას მიმართვა აკ. ვასაძისადმი, მისი მოგონებების გაგზავნასთან დაკავშირებით.
131. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისათვის მიძღვნილი კრებულისთვის მოგონების დაწერასთან დაკავშირებით.
132. საქართველოს თეატრალური საზოგადოების პასუხისმგებელი მდივნის ს. მთვარაძის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, პრეზიდენტის სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
133. საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობების საქართველოს საზოგადოების პრეზიდენტის თავმჯდომარის ვ. ქოჩორაძის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, საზოგადოების კრებაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
134. თეატრალური ინსტიტუტის სწავლული მდივნის ს. გერსამიას მიმართვა აკ. ვასაძისადმი, საბჭოს სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
135. „საქფილმგეთის“ დირექტორის ტარუმოვის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, საზაფხულო თეატრის პროექტის განხილვაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
136. საქართველოს თეატრალური საზოგადოების პასუხისმგებელი მდივნის დ. ჩხეიძის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, პრეზიდენტის სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით.

137. საქართველოს თეატრალური საზოგადოების პასუხისმგებელი მდივნის დ. ჩხეიძის მიმართვა აკ. ვასაძისადმი, პრეზიდენტის სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
უთარილო. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

ნაშრომები

138. აკაკი ვასაძის ნაშრომი – „მხატვრული მეტყველება“.
1927-1928 წწ. თბილისი. ნაბეჭდი. 6 გვ.
139. აკ. ვასაძის ნაშრომი – „რუსეთის XIX საუკუნის რევოლუციონერ-დემოკრატების ესთეტიკა“.
1963 წ. 12 აპრილი. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. 24 გვ.
140. აკ. ვასაძის ნაშრომი – „შილერის ესთეტიკა და მისი ეპოქალური მნიშვნელობა“.
უთარილო. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 26 გვ.
141. აკ. ვასაძის ნაშრომი – „ჩინური თეატრი“.
უთარილო. თბილისი. ბლოკნოტი. ხელნაწერი. ფანქარი. 49 გვ.
142. აკ. ვასაძის ნაშრომი – „მეფე ლირი“ – ჩემი მოსაზრებანი“.
უთარილო. თბილისი. ნაბეჭდი. 15 გვ.
143. აკ. ვასაძის ნაშრომი – „სასცენო მეტყველების საკითხი ქართულ სცენაზე“.
უთარილო. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. ნაბეჭდი. 30 გვ.
144. აკ. ვასაძის ნაშრომი – „მხატვრული მეტყველება“.
უთარილო. თბილისი. ნაბეჭდი. 7 გვ.
145. აკ. ვასაძის ნაშრომი – „დეკლამაცია და ინტონაცია“.
უთარილო. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 11 გვ.
146. აკ. ვასაძის ნაშრომი – „ქართული სიტყვის ზოგადი ფონეტიკური საფუძვლები“.
უთარილო. თბილისი. ნაბეჭდი. 3 გვ.
147. აკ. ვასაძის ნაშრომი – „მხატვრული მეტყველება“.
უთარილო. თბილისი. ნაბეჭდი. 20 გვ.

მოხსენებები

148. აკაკი ვასაძის მოხსენება თბილისის კიროვის სახელობის №35 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე.
1938 წ. 24 დეკემბერი. თბილისი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. 25 გვ.
149. აკ. ვასაძის მოხსენება – „ბელადის სახეები ქართულ თეატრში“.
1949 წ. თბილისი. ბლოკნოტი. ხელნაწერი. ფანქარი. 22 გვ.
150. აკ. ვასაძის მოხსენება თბილისის მე-19 საქალაქო პარტკონფერენციაზე.
1949 წ. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. ნაბეჭდი. 23 გვ. 2 ეგზ.
151. აკ. ვასაძის მოხსენება საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივნის ამხ. კ. ჩარკვიანისადმი რუსთაველის სახელობის თეატრის მუშაობის შესახებ, საქართველოს გასაბჭოების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილესთან დაკავშირებით
1951 წ. თბილისი. ნაბეჭდი. 3 გვ.

152. აკ. ვასაძის მოხსენება თბილისის მე-2 საქალაქო პარტკონფერენციაზე, სკკპ XIX ყრილობასთან დაკავშირებით.
1952 წ. თბილისი. ბლანკი. ხელნაწერი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 39 გვ.
153. აკ. ვასაძის მოხსენება თბილისის კპ (ბ) საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე „ქართული თეატრების შესახებ“.
1952 წ. თბილისი. ბლოკნოტი. ხელნაწერი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 20 გვ.
154. აკ. ვასაძის მოხსენება – „ლენინ-სტალინის დიადი პარტია“.
1952 წ. თბილისი. ბლანკი. ხელნაწერი. ფანქარი. 28 გვ.
155. აკ. ვასაძის მოხსენება მსახიობ ნინო დავითაშვილის იუბილეზე.
1955 წ. თბილისი. ბლოკნოტი. ხელნაწერი. ფანქარი. 29 გვ. ნაბეჭდი. 9 გვ.
156. აკ. ვასაძის მოხსენება – „როდის აღწევს ავტორი მხატვრულ წარმატებას“.
1962 წ. 17 აპრილი. თბილისი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. 5 გვ.
157. აკ. ვასაძის მოხსენება – „ქუთაისის თეატრის 1963-1964 წლების სეზონის შედეგები და ახალი სეზონის ამოცანები“.
1964 წ. ქუთაისი. ნაბეჭდი. 10 გვ.
158. აკ. ვასაძის მოხსენება აკაკი ხორავას დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოზე.
1965 წ. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 25 გვ. ნაბეჭდი. 10 გვ.
159. აკ. ვასაძის მოხსენება – „რუსთაველის სახელობის თეატრი 30 წლის მანძილზე“.
უთარილო. თბილისი. ბლოკნოტი. ხელნაწერი. ფანქარი. 86 გვ.
160. აკ. ვასაძის მოხსენება – „საქართველოს თეატრალური ხელოვნება“.
უთარილო. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 18 გვ.
161. აკ. ვასაძის მოხსენება ქუთაისის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე ქუთაისის თეატრის შესახებ.
უთარილო. თბილისი. ბლანკი. ხელნაწერი. ფანქარი. 11 გვ.
162. აკ. ვასაძის მოხსენება – „სკკპ (ბ) XVIII სრულიად საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებების შესახებ“.
უთარილო. თბილისი. ბლანკი. ხელნაწერი. ფანქარი. 20 გვ.
163. აკ. ვასაძის მოხსენება ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების შესახებ.
უთარილო. თბილისი. ბლოკნოტი. ხელნაწერი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 12 გვ.
164. აკ. ვასაძის მოხსენება „ქართული თეატრალური ხელოვნება“.
უთარილო. თბილისი. ბლოკნოტი. ხელნაწერი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 27 გვ.
165. აკ. ვასაძის მოხსენება ამხ. იოსებ სტალინისადმი, რუსთაველის სახელობის თეატრის მუშაობისა და საბჭოთა კულტურის განვითარებასთან დაკავშირებით.
უთარილო. თბილისი. ნაბეჭდი. 4 გვ. 2 ეგზ.
166. აკ. ვასაძის მოხსენება – „ლენინის ორდენოსანი რუსთაველის სახელობის თეატრი“.
უთარილო. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 12 გვ. 2 ეგზ.
167. აკ. ვასაძის მოხსენება რუსთაველის სახელობის თეატრის 1950 წლის რეპერტუართან დაკავშირებით.
უთარილო. თბილისი. ბლოკნოტი. ხელნაწერი. ფანქარი. 17 გვ (აკლია 5 გვ.).
168. აკ. ვასაძის მოხსენება თეატრების რეპერტუარის შესახებ.
უთარილო. ქუთაისი. ბლოკნოტი. ხელნაწერი. ფანქარი. მელანი. რუსულ ენაზე. 13 გვ.

169. აკ. ვასაძის მოხსენება – „ოქტომბრის რევოლუცია და ქართული თეატრი.“
უთარილო. თბილისი. ბლოკნოტი. ხელნაწერი. მელანი. 6 გვ.

სიტყვები

170. აკ. ვასაძის სიტყვა ვეჩე ჯიქიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
1924 წ. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. 3 გვ.
171. აკ. ვასაძის სიტყვა კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
1933 წ. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.
172. აკ. ვასაძის სიტყვა ზაქარია ფალიაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
1933 წ. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 2 გვ.
173. აკ. ვასაძის სიტყვა მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადაზე რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლების გახსნასთან დაკავშირებით.
1936 წ. მოსკოვი. ხელნაწერი. ფანქარი. 3 გვ.
174. აკ. ვასაძის სიტყვა შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილეზე.
1937 წ. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.
175. აკ. ვასაძის სიტყვა სკკპ (ბ) XVIII ყრილობასთან დაკავშირებით.
1938 წ. თბილისი. ნაბეჭდი. 4 გვ.
176. აკ. ვასაძის სიტყვა უკრაინაში რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლებთან დაკავშირებით.
1939 წ. უკრაინა. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 7 გვ.
177. აკ. ვასაძის სიტყვა რუსთაველის სახელობის თეატრის კომკავშირის კრებაზე.
1941 წ. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. ნაბეჭდი. 8 გვ. 2 ეგზ.
178. აკ. ვასაძის სიტყვა საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ უმაღლესი საბჭოს მიმდინარე სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარდგენასთან დაკავშირებით.
1941 წ. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. ნაბეჭდი. 6 გვ.
179. აკ. ვასაძის სიტყვა საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიაზე განსახილველად 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარდგენასთან დაკავშირებით.
1944 წ. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 4 გვ.
180. აკ. ვასაძის სიტყვა ლენინის ორდენით დაჯილდოებასთან დაკავშირებით.
1946 წ. თბილისი. ნაბეჭდი. 2 გვ.
181. აკ. ვასაძის სიტყვა კოტე მარჯანიშვილის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საქართველოს თეატრალური საზოგადოების თათბირზე (ამონაწერი სტენოგრაფიდან).
1947 წ. თბილისი. ნაბეჭდი. 11 გვ.
182. აკ. ვასაძის სიტყვა სიმონ ჯანაშიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
1947 წ. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 3 გვ.
183. აკ. ვასაძის სიტყვა იოსებ სტალინის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით.
1949 წ. 14 დეკემბერი. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. ნაბეჭდი. 13 გვ.
184. აკ. ვასაძის სიტყვა ირაკლი გამრეკელის გარდაცვალების 10 წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე.
1953 წ. თბილისი. ბლოკნოტი. ხელნაწერი. ფანქარი. 12 გვ.

185. აკ. ვასაძის სიტყვა ილო მოსაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
1954 წ. თბილისი. ბლოკნოტი. ხელნაწერი. მელანი. 5 გვ.
186. აკ. ვასაძის სიტყვა ლადო ალექსი-მესხიშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით.
1957 წ. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 1 გვ.
187. აკ. ვასაძის სიტყვა იონა ტუსკიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
1963 წ. თბილისი. ბლოკნოტი. ხელნაწერი. მელანი. 7 გვ.
188. აკ. ვასაძის სიტყვა ნუცა ჩხეიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
1963 წ. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 4 გვ.
189. აკ. ვასაძის სიტყვა სანდრო ახმეტელის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე.
1967 წ. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. ნაბეჭდი. 7 გვ. 3 ეგზ.
190. აკ. ვასაძის სიტყვა თეატრალური ინსტიტუტის დაარსების 30 წლისთავთან დაკავშირებით.
